გამნარტებითი ბარათი

შპს „მედი“-ს სერვისების გაუმჯობესების მიზნით, საპროექტო დავალება მოიცავს, არსებული შენობის მე-4 სართულზე მდებარე სტაციონარული განყოფილებისათვის, დამხმარე ფართების დაგეგმარებას და არსებული მომიჯნავე შენობების მე-4 სართულის დონეზე ფართების დაკავშირებას. ხოლო მე-5 სართულზე მდებარე საცხოვრებელი ფართი დაპროექტდა საოფისედ რომელიც დაკავშირებულია მე-4 სართულთან შიდა მსუბუქი კონსტრუქციის კიბით.

კერძოდ: რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს, არსებული საცხოვრებელი სახლის (მდებარე კოსტავას ქ. 46/50) და შპს. „მედი“-ს შენობის (მდებარე კოსტავას ქ. 52-ში), მე-4 სართულის დონეზე კიბის უჯრედში, შენობებს შორის კედლებში ღიობის გახსნა-გამაგრებას, ხანძარ მედეგი კარის ჩასმის გათვალისწინებით და მე-4 და მე-5 სართულებს შორის რკ.ბეტ. გადახურვის ფილაში ღიობის მოწყობას, მსუბუქი ლითონის კონსტრუქციის კიბის სამონტაჟოდ, წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის და ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო დასკვნის N001194417 გათვალისწინებით.